

კულტურა და თანამედროვეობა, კულტუროლოგია I კურსი  
(ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)  
I,II, 2017-2018 წელი  
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

როგორ აზროვნებს ეწოდება მხატვრული აზროვნება?

აირჩიეთ ერთი:

- a. სიამოვნების მომგვრელი საშუალებებით (სიტყვა, ფერი, ფორმა...) აზროვნებს;
- b. ბუნებრივი, ხელოვნური საშუალებებით აზროვნებს;
- c. მხატვრული სახეებით (წარმოსახვითი ხილვებით) აზროვნებს.

კითხვა 2

რა არის ცივილიზაცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. ცივილიზაცია არის საზოგადოების მატერიალური ცხოვრების გარკვეული ეტაპი;
- b. ცივილიზაცია არის კულტურის სოციალიზაცია;
- c. ცივილიზაცია არის შემეცნებითი და მხატვრული აზროვნების ნაყოფი.

კითხვა 3

რისთვის იწერებოდა ლექსი?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხატვრული კითხვისთვის;
- b. გასართობად;
- c. ლექსი, უპირველეს ყოვლისა, იწერებოდა სასიმღეროდ;
- d. დეკლამაციისათვის.

კითხვა 4

რამ შექმნა მსოფლიო ხელოვნების უდიდესი ნაწილი?

აირჩიეთ ერთი:

- a. უნიჭობამ;
- b. ნიჭიერებამ;
- c. სიბეჯითემ;
- d. რწმენამ.

### კითხვა 5

რა არის საჭირო კაცობრიობის გადარჩენისათვის?

აირჩიეთ ერთი:

- a. კაცობრიობის წარმოშობის მიზეზების ძებნა;
- b. კაცობრიობის დეკულტურიზაცია;
- c. რწმენის, მეცნიერების კულტურის ერთობლივი ძალისხმევა;
- d. კაცობრიობის ერთი მიმართულებით სვლა.

### კითხვა 6

რა არის პიროვნების კულტურულობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი?

აირჩიეთ ერთი:

- a. პროფესიონალიზმი;
- b. უნარ-ჩვევები;
- c. პრინციპულობა;
- d. ზედაპირულობა.

### კითხვა 7

რა გახლავთ კომპეტენტურობის საწინააღმდეგო მოვლენა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ცოდნა;
- b. დილექტანტიზმი;
- c. საქმიანობა;
- d. განათლება.

### კითხვა 8

ვინ იყო საბერძნეთში იგავის ჟანრის ფუძემდებელი?

აირჩიეთ ერთი:

- a. საფო;
- b. ჰომეროსი;
- c. ეზოპე;
- d. ევრიპიდე.

### კითხვა 9

რითია გაბრწყინებული ქართული კლასიკური ლიტერატურა?

აირჩიეთ ერთი:

- a. პერიოდიზაციით;
- b. აზრთა სხვადასხვაობით;

- c. ქრისტიანობის მადლითაა გაბრწყინებული;
- d. პერსონაჟთა მრავალფეროვნებით.

### კითხვა 10

რამ შექმნა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები?

აირჩიეთ ერთი:

- a. მდიდარმა ქართულმა ენამ;
- b. რელიგიისა და მხატვრული შთაგონების დიდებულმა სინთეზმა;
- c. ისტორიისა და ლიტერატურის თანხვედრამ;
- d. უძველესმა მუსიკალურმა კულტურამ.

### კითხვა 11

ვის ეკუთვნის გამოთქმა: „როცა ლექსს ვწერ, ღმერთს ვუტოლდებიო“.

აირჩიეთ ერთი:

- a. მუხრან მაჭავარიანს;
- b. მურმან ლებანიძეს;
- c. ანა კალანდაძეს;
- d. შოთა ნიშნიანიძეს.

### კითხვა 12

მსოფლიოში, ვინ ითვლება საერთაშორისო თვალსაზრისით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლად?

აირჩიეთ ერთი:

- a. პედაგოგი;
- b. დიპლომატი;
- c. მეცნიერი;
- d. ინჟინერი.

### კითხვა 13

რა შეფასება მისცა ქართველ გოგონებს ფრანგმა ჟურნალისტმა მადამ დებოვუამ?

აირჩიეთ ერთი:

- a. საშუალო;
- b. დაიწუნა გარეგნობით;
- c. არ მოიხიბლა ზედმეტი კოსმეტიკის გამო;
- d. არავითარ ფერუმარილს არ საჭიროებსო.

**კითხვა 14**

სად გამოიგონეს პირველად კომპასი?

აირჩიეთ ერთი:

- a. საბერძნეთში;
- b. ჩინეთში;
- c. რომში;
- d. ეგვიპტეში.

**კითხვა 15**

ვის კალამს ეკუთვნის ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“?

აირჩიეთ ერთი:

- a. შილერის;
- b. ლესინგის;
- c. ჰაინეს;
- d. ხალხური.